



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 13



2013 წლის 5 თებერვალი  
ქალაქი ხაშური

### ავტომანქანისათვის საბურავების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 23 იანვარს (სატენდერო განცხადება SPA130001972) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ავტომანქანისათვის საბურავების შესყიდვაზე, რომელსაც 2013 წლის 1 თებერვალს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“.

მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავტომანქანისათვის საბურავების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის 2013 წლის 4 თებერვლის მოხსენებითი ბარათისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავტომანქანისათვის WTW-557 “HIUNDAI TUCSON” (235/60R16 RF10 ზამთრის, რეზინის, თოვლში მაღალი გამავლობით) საბურავების (4 ცალი) გამარტივებული შესყიდვა;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

